
განმარტებითი ბარათი

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს , არსებული გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციას. ს/კ 01.10.11.004.020-ში.
დოკუმენტაციაში წარმოდგენილია არსებული და საპროექტო 0.00 ნიშნულის გეგმები , სადაც, კორექტირებით გათვალისწინებული შემდეგი ცვლილებები:
1. საკომპრესორო შენობა- დაკორექტირდება ფუნქციით და იქნება მაღაზია.
2.საოპერატორო/საოფისე შენობა რჩება უცვლელი ფუნქციით.
3.სატრანსფორმატორო ნაგებობა გაუქმდება ადგილიდან და ელ ენერგიის მიწოდება მოხდება ქალაქის ქსელით.
4.I კლასის დამხმარე შენობა-ნაგებობაში მოეწყობა საკომპრესორო
5.გაზგასამართი 4 სვეტიდან 2 დაკორექტირდება ბენზინგასამართ სვეტად, ხოლო 2 დარჩება თხევადი და ბუნებრივი გაზის სვეტებად.


ასევე განგიმარტავთ, რომ ტოპოზე დატანილი დამხმარე შენობა ნაგებობები-რომელთაც არ აქვთ ნუმერაცია მინიჭებული ესენია გარე სველი წერტილი და მოსაცდელი ფარდული, მოხდება მათი დემონტაჟი.
ასევე საპროექტო გეგმაში №3 -ალნიშვნით დამატებულია სარეზერვუარო პარკი.
სარეზერვუარო პარკში განთავსდება 4 ცალი რეზერვუარი თითო-14.71 კუბური მეტრის, ხოლო 1 ცალი გაზის რეზერვუარი-7.5 კუბური მეტრის მოცულობის.

ნორმები, რომლითაც ტექნოლოგიური ნაწილი მომზადდა , აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი რეგულაციის მოთხოვნებს.
გამოყენებული ნორმებია: NFPA-30,NFPA-30A,NFPA-52, NFPA-58 და NFPA-70, ასევე ტექნიკური რეგლამენტი №-60.

არსებული გეგმა
მ 1:500



საპროექტო გეგმა
მ 1:500



8 ა.პოლიტკოვსკაიას ქ.
0186 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2 93 27 32
tacsa@moesd.gov.ge

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

17 / მარტი / 2025 წ.

KA020174283586325

№ **06/257**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ქალბატონ თამარ ჩინჩალაძეს

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) განიხილა თქვენი 2025 წლის 4 მარტის №327 (№60-01250593696 28.02.2025წ.) წერილი და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, № 01.10.11.004.018 და № 01.10.11.004.015 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების საკითხს და გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი დამტკიცდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები შემდეგის გათვალისწინებით - მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიაზე დამკვეთი ვალდებულია, ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, წარადგინოს შესაბამისი ნორმები, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ობიექტის დაპროექტება, ხოლო ,,საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის № 52 ან ,,საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების სამოქმედოდ დაშვების, შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების, შესაბამისი ნიშანდების მქონე პროდუქტის საქართველოში დამატებითი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გარეშე დაშვებისა და ასევე სხვა ქვეყნებში წარმოებული, რეგულირებული სფეროსათვის მიკუთვნებული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე შეზღუდვების გარეშე განთავსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის № 50 დადგენილებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქმედოდ დაშვებული უცხოური ნორმების გამოყენებისას, წარდგენილი დოკუმენტაცია უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ მტამპდასმულია ელექტრონულად

ასტამურ აჩბა